

ქალაქ ქუთაისში, სილოვან მახვილადის ქუჩა N7 საცხოვრებელი სახლის  
N25 ბინაზე, მოქალაქე გიორგი ლარცულიანისათვის საკუთრების  
უფლების მინიჭებისა და მოწმობის გაცემის შესახებ

ქალაქ ქუთაისის მერიამში განხილული იქნა მოქალაქე გიორგი ლარცულიანის განცხადება /2010 წლის 29.12 N1714/, რითაც ითხოვს ბინაზე /მდებარე ქალაქ ქუთაისში, სილოვან მახვილადის ქუჩა N7 საცხოვრებელი სახლის N25 ბინა/, საკუთრების უფლების მოწმობის გაცემას.

წარმოდგენილი მასალების, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“, საქართველოს ორგანული კანონის 39–ე მუხლის მე–3 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის, 65<sup>2</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და „კანონიერი მოსარგებლეებისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი /იზოლირებული და არაიზოლირებული/ ფართობის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლეებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 29 იანვრის N73 ბრძანებულების თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ე :

1. ქალაქ ქუთაისში, სილოვან მახვილადის ქუჩა N7 საცხოვრებელი სახლის N25 ბინაზე, საკუთრების უფლება მიენიჭოს მოქალაქე გიორგი ლარცულიანს.
2. ქალაქ ქუთაისის მერიის საბინაო ინფრასტრუქტურის მართვისა და განვითარების საქალაქო სამსახურმა /ნ.ჩოგოვაძე/, ქალაქ ქუთაისში, სილოვან მახვილადის ქუჩა N7 საცხოვრებელი სახლის N25 ბინაზე /საერთო ფართობი 53,27 კვ.მ, საცხოვრებელი ფართობი 28,51 კვ.მ. დამხმარე ფართობი 24,76 კვ.მ./, მოქალაქე გიორგი ლარცულიანის სახელზე გასცეს საკუთრების უფლების მოწმობა.
3. ბრძანების შესრულების კონგროლს ვივალებ პირადად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქ.ქუთაისის საკრებულოსა /რუსთაველის გამზირი N3/ და ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვიქტორ კუპრაძის ქუჩა N11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.
5. ბრძანება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით.

ქ.ქუთაისის მერის მოადგილე,  
მერის მოვალეობის შემსრულებელი

დ.ანდლულაძე